ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 32070201/05/98
CPV:42512000 - ჰაერის კონდიცირების საშუალებები SMP 180001437

ქ. თბილისი 11 ივლისი 2018 წელი

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ბეგი ჯორჯია" მისი დირექტორის გიორგი ნიკოლაძის სახით, (შემდგომში - მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 04 ივლისის N1637 განკარგულების, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივლისის N1387 განკარგულების, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტისა შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში (ორგანიზაციული კოდი: 32070201 - ზოგადსაგანმნათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება) სამი საგამოცდო ცენტრისათვის საჭირო გაგრილება-ვენტილაციის საშუალებებით აღჭურვის სახელმწიფო შესყიდვა, თანმდევი სამონტაჟო სამუშაოებისა და ადეკვატური ელექტრო გაყვანილობის მოწყობით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების – დანართი N1-ის და დანართი N2-ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში, ლარში;

2.2 შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა და ერთეულის ფასი მითითებულია შესაბამის დანართში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 175168.65 (ასამოცდათხუთმეტი ათას ასამოცდარვა ლარი და სამოცდახუთი თეთრი) (დ.ღ.გ.-ს ტრანსპორტირების, მონტაჟის, ადეკვატური ელექტრო გაყვანილობის მოწყობისა და სხვა) ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ადგილია საგამოცდო ცენტრები - ზოგადასაგამანათლებლო დაწესებულებები დანართის მიხედვით;

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება უზრუნველყოს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.5. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე (ინსპექტირებაზე) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან სააგენტოს

სამშენებლო-საპროექტო სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც განისაზღვრებიან დირექტორის შესაბამისი ბრძანებით;

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად მოწოდებელი საქონლისა და თანმდევი სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების მიხედვით.

6.2. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლისა და თანმდევი სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების შესაბამისად, აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3 ადეკვატური ელექტრო გაყვანილობის მოწყობის სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდებდა და ანგარიშსწორება განხორციელდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. დასკვნის წარმოდგენის და შესაბამისი ხარჯის გაწევის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

6.4 ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ტექნიკური რეგლამენტი-სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესი''-ს მოთხოვნები და მიმწოდებელი ვალდებულია ექსპერტს წარუდგინოს ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ბ) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მოწოდებულ შესყიდვის ობიექტზე გაავრცელოს ერთწლიანი საგარანტიო მომსახურება;

ბ) საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, უზრუნველყოს დამონტაჟებული მოწყობილობების სათანადო მუშაობაზე მონიტორინგი;

გ) შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

დ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ კი მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული საბოლოო ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და ვერ შეძლებს შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულების პირობების დაცვით მიწოდებას, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას და არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. თანმდევი მომსახურება

15.1. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საქონლის შენახვა, ტრანსპორტირება, მონტაჟი და ადეკვატური ელექტრო გაყვანილობის მოწყობა მიწოდების ადგილზე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი 220101222

დირექტორი: ზურაბ ბერიძე

_____

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ბეგი ჯორჯია", მისამართი: ქ. თბილისი, ზაზიშვილის ქ. N1; ს/კ 202456430; ს/ს „ბაზის ბანკი"; ბანკის კოდი: CBASGE22, ა/ა GE07BS0000000043836277; ტ: 595 30 70 40, 595 10 57 57; begigeorgia@yahoo.com

დირექტორი გიორგი ნიკოლაძე

_____

(ხელმოწერა)

BEGI GEORGIA 202456430 "BEGI GEORGIA" LTD

ინვოისი

თარიღი:

ინვოისის №: 1

გამყიდველი: შპს ბეგი ჯორჯია

ს/ნ 202456430

მიმღების ბანკი:	სს ბაზისბანკი	
	ბანკის კოდი:	CBASGE22
მიმღების ანგარიში:		GE07BS0000000043836277

მყიდველი: საგანმამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ს/ნ 202294980

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
6	TAC-24CHSA/LC ON/OFF R410 IN/OUT კედლის კონდიციონერი კომპლექტით TCL***	ცალი	28	1480	41440
9	მომსახურება(სამაგრები, ამწე კალათა, მონტაჟი)	კომპლექტი	28	350	9800
				ჯამი:	0
					51,240.00

ობიექტი: ქ. ქუთაისის 41 საჯარო სკოლა;

დირექტორი:

შპს "ბეგი ჯორჯია"
BEGI GEORGIA
202456430
"BEGI GEORGIA" LTD

ინვოისი

თარიღი: _____

ინვოისის №: 2

გამყიდველი: შპს ბეგი ჯორჯია

ს/ნ 202456430

	სს ბაზისბანკი
ბანკის კოდი:	CBASGE22
	GE07BS0000000043836277

მყიდველი: საგანმამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ს/ნ 202294980

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
3	კონდიციონერი-- WAGNER--W24WH41 მონტაჟით	ცალი	40	1500	60000
16	მომსახურება(სამაგრები, ამწე კალათა, მონტაჟი)	ცალი	40	330.00	13200

ჯამი: 73,200.00

ობიექტი: ქ.ახალციხე მიქუტაშვილის 2 №1 საჯარო სკოლა;

დირექტორი: /----------/

BEGI GEORGIA 202456430 "BEGI GEORGIA" LTD

ინვოისი

თარიღი: _____

ინვოისის №: 1

გამყიდველი: შპს ბეგი ჯორჯია

ს/ნ 202456430

მიმღების ბანკი:	სს ბაზისბანკი
	ბანკის კოდი: CBASGE22
მიმღების ანგარიში:	GE07BS0000000043836277

მყიდველი: საგანმამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ს/ნ 202294980

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
	დამხმარე მასალები(ავტომატ.ამომრთველები,ჩამრთველები პლასმასის კოლოფები)				600
	მომსახურება (ელექტრო მასალების მონტაჟი)				6250
1	პუნგ 5*10 ელ სადენი	მეტრი	130	13	1690
2	პუნგ 3*2.5 ელ სადენი	მეტრი	400	2.5	1000
4	პვს 5*10 ელ სადენი	მეტრი	50	13	650
				ჯამი:	0

10,190.00

ობიექტი: ქ. ქუთაისის 41 საჯარო სკოლა;

დირექტორი: გ.ნიკოლაძე

"ბეგი ჯორჯია" BEGI GEORGIA 202456430 "BEGI GEORGIA" LTD

ინვოისი

თარიღი: _____

ინვოისის №: 2

გამყიდველი: შპს ბეგი ჯორჯია

ს/ნ 202456430

მიმღების ბანკი:		სს ბაზისბანკი
	ბანკის კოდი: 1	CBASGE22
მიმღების ანგარიში:		GE07BS0000000043836277

მყიდველი: საგანმამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ს/ნ 202294980

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	პვს 3*4 ელ სადენი	მეტრი	50	3.5	175
2	პვს 5*10 ელ სადენი	მეტრი	137	13	1781
3	პვს 5*25 ელ სადენი	მეტრი	113	36	4068
18	პუნპ 3*2.5 ელ სადენი	მეტრი	350	2.5	875
	დამხმარე მასალები(ავტომატ.ამომრთველები,ჩამრთველები,საკაბელო არხები)				1900
	კონდიციონერების მომსახურება(სამაგრები,ამწე კალათა,მონტაჟ)		32		4500
29	მომსახურება (ელექტრო მასალების მონტაჟი)				5625
		ჯამი:			18,924.00

ობიექტი: ქ. ქუთაისის 1 საჯარო სკოლა;

დირექტორი: გ.ნიკოლაძე

"ბეგი ჯორჯია" LTD * BEGI GEORGIA 202456430

ინვოისი

თარიღი: _____

ინვოისის №: 3

გამყიდველი: შპს ბეგი ჯორჯია

ს/ნ 202456430

მიმღების ბანკი:	სს ბაზისბანკი
ბანკის კოდი:	CBASGE22
მიმღების ანგარიში:	GE07BS0000000043836277

მყიდველი: საგანმამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ს/ნ 202294980

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
	მომსახურება ელ.მასალების მონტაჟი				2625
	მომსახურება ---კონდიციონერების მონტაჟი		22		3000
1	პუნგ 3*2.5 ელ სადენი	მეტრი	300	2.5	750
2	ABS კარადა პლასმასის 40X50X20	ცალი	1	59.8	59.8
3	როზეტი MIS დამიწების დარეშე თეთრი	ცალი	7	2.4	16.8
4	MIS როზეტი ორიანი გარე დამიწებით თეთრი	ცალი	15	4.4	66
5	სკოპი № 10 ბრტყელი	ცალი	300	0.02	6
6	E-52901ავტომატის სალასკა 1M	ცალი	1	2.19	2.19
7	პლასმასის ხამუთი 4*200	ცალი	200	0.03	6
8	პვს 5*10 ელ სადენი	მეტრი	450	13	5850
9	დუბელი 8 (ზღარბი)	ცალი	500	0.14	70
10	სკოპი №12 (ბრტყელი)	ცალი	100	0.02	2
11	პლასმასის ხამუთი 4*250	ცალი	500	0.04	20
12	იზოლენტა 20 მ	ცალი	10	2.1	21
13	A9N18369 ავტომატური ამომრთველი C120N 3P 125A C	ცალი	1	191.7	191.7
14	690585 MCB DMS 6ka 3P 63A C (ავტომატური ამომრთველი)	ცალი	4	42.04	168.16
15	210*280*2.7 ბეაზი beyaz (ცალ მხარეს შეღ. მდფ) p	ცალი	8	25	200
16	იზოლირებული კაბელი H05VV-F 3-2.5 MM TTR GEO	მეტრი	54	2.50	135

ჯამი: 13,189.65

ობიექტი: ქ. ფოთი ზამბახიძის ქ. №3; მე-3 საჯარო სკოლა;

დირექტორი: გ.ნიკოლაძე

"ბეგი ჯორჯია" BEGI GEORGIA 202456430 "BEGI GEORGIA" LTD

ინვოისი

თარიღი:

ინვოისის №: 4

გამყიდველი: შპს ბეგი ჯორჯია

ს/ნ 202456430

	სს ბაზისბანკი
ბანკის კოდი:	CBASGE22
	GE07BS0000000043836277

მყიდველი: საგანმამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარეის სააგენტო

ს/ნ 202294980

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	სადენი CYKYLO-U3*2,5	მეტრი	400	2.5	1000
2	დამხმარე მასალები(ავტომატ.ამომრთველები,ჩამრთველები,საკაბელო არხები)				1800
3	მომსახურება (ელექტრო მასალების მონტაჟი)				5625
4					0
5					0
6					0
7					0
9					0
10					0
16					0

ჯამი: 8,425.00

ობიექტი: ქ.ახალციხე მიქუტაშვილის 2 №1 საჯარო სკოლა;

დირექტორი: /----------/

შპს "ბეგი ჯორჯია" BEGI GEORGIA 202456430 "BEGI GEORGIA" LTD

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080192093860418

№ 1637 **04 / ივლისი / 2018 წ.**

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 29 ივნისს (22:15 საათზე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ SMP180001437 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია, 21 საგამოცდო ცენტრისთვის 900 ცალი კონდიციონერის (თანმდევი მონტაჟით) (42500000 - გამაგრილებელი და სავენტილაციო მოწყობილობები) შესყიდვა, რომლის ღირებულება შეადგენს 2000000 ლარს.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მაღალი ტემპერატურა პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და იწვევს როგორც გარკვეული დაავადებების ჩამოყალიბებას, ასევე უკვე არსებულის გამწვავებას და შესაძლოა გარდაცვალების მიზეზიც კი გახდეს. სიცხე განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისათვის და ქრონიკული დაავადების მქონე პირებისათვის. ძლიერმა სიცხემ შეიძლება გამოიწვიოს გულის ცემის გახშირება და სუნთქვის გაუარესება. შესაბამისად, მაღალი ტემპერატურის პირობებში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფნით ადამიანის ჯანმრთელობას შესაძლებელია სერიოზული საფრთხე დაემუქროს. იმის გათვალისწინებით, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის ერთი სესია გრძელდება დაახლოებით 3-4 საათი და მნიშვნელოვანია დაცული იქნას გამოცდაზე გასული ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება, საგამოცდო ცენტრებში საჭიროა დამონტაჟდეს ჰაერის კონდიცირების საშუალებები.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, ღონისძიების შეზღუდულ ვადაში ჩატარების აუცილებლობა გამოიწვია ჰაერის ტემპერატურის მატებამ. აღსანიშნავია, რომ ტემპერატურის მატებას თან ახლავს ისეთი რისკები, როგორიცაა დეჰიდრატაცია (გაუწყლოვნება, ორგანიზმში წლის დეფიციტი) და გადახურება, რომელმაც შესაძლოა გააუარესოს გულის დაავადებებისა და სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა. შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდების მიმდინარეობისას, ამ რისკების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა შესყიდვის შეზღუდულ ვადებში ჩატარება. ამასთან, ჰაერის ტემპერატურის მატება გამოწვეულია კლიმატური პირობებით, ხოლო პრევენციული ღონისძიებების წინასწარ განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამდენად, შესყიდვის აუცილებლობა წინასწარ ვერ იქნებოდა დაგეგმილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, მითითებული საქონლის შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტია, 21 საგამოცდო ცენტრისთვის 900 ცალი კონდიციონერი (თანმდევი მონტაჟით).

ამასთან, აღნიშნული შესყიდვების განხორციელების მიზნით, შესყიდვის ობიექტის შესასყიდად შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოყენება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის, რადგან ელექტრონული ტენდერით შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, შეუძლებელია უმოკლეს ვადაში შესყიდვის ობიექტის საგამოცდო ცენტრებისათვის მიწოდება. ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად და ეფექტურად ჩატარების მიზნით, აუცილებელია სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ“ საგამოცდო ცენტრებისათვის საჭირო ჰაერის კონდიცირების საშუალებების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

სააგენტო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ SMP180001437 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპვდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1387 2018 წლის 11 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, საგამოცდო ცენტრების ინფრასტრუქტურული პრობლემატიკის გათვალისწინებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგამოცდო ცენტრების ჰაერის გაგრილება-ვენტილაციის საშუალებებით აღჭურვა და აღნიშნულთან დაკავშირებული სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს

კანონით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებიდან (პროგრამული კოდი: 32 07 02 01), რომელსაც, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განკარგავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**